„ლ"

18–21 ოქტომბერი 1994 წ. ● №35 (10903)

ფასი 200 000 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმრავლოს!

ახალი ოსტატები

ფიდეს პრეზიდენტის საბჭომ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა ჩვენს მოჭადრაკეებს: ნატო ქინგვერაძეს, სოფიკო ნიკოლაძეს და ინგა ხურცილავას. ამავე საბჭომ ფიდეს ოსტატის წოდება შეანიჭა რუსუდან გოლეთიანსა და ნათია აფხაიძეს.

საერთაშორისო ოსტატი გახდა, აგრეთვე, ყოფილი თბილისელი იანის პოპოვი (ამჟამად ნიკოლიდისი), რომელიც ახლა საბერძნეთში ცხოვრობს.

ოლიმპიადა მოსკოვში ჩატარდება

ფიდემ, რუსეთის საშადრაკო ფედერაციის დასტურით, გადაწყვიტა საშადრაკო ოლიმპიადა ადრე დანიშნულ ვადებშივე ჩაატაროს მოსკოვში, ნაცვლად სალონიკისა, რადგან საბერძნეთმა უარი განაცხადა მასპინძლობაზე.

მთავარი პრიზი — მაია ლომინეიშვილს

მლადა ბოლესლავში (ჩეხეთი) დამთავრდა დიდი საერთაშორისო საშადრაკო ტურნირი („შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად), რომელშიც ბევრი ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა და ერთ-ერთ არბიტრად თბილისელი ევგენი მელიქსეთბეგი იყო მიწვეული.

საქართველოდან გამოდიოდნენ ნათია ჯანჯღავა, ნატო ეძგვერაძე, სოფიკო ნიკოლაძე, დიანა დარჩია, მაია ლომინეიშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, ხვიჩა სუპატაშვილი, თამაზ ტაბატაძე, გია ბაღათურავი და სერგო მოვსესიანი. ვაჟები და ქალები ერთად ასპარეზობდნენ, გამარჯვებულისათვის კი 6 ათას დოლარად ღირებული ავტომანქანა „შკოდა" იყო დაწესებული. ეს ძვირფასი ჯილდო წილად ხვდა პეტერბურგელ დიდოსტატს ვლადიმერ ეპიშინს, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელმაც 6,5 ქულით III-VIII ადგილები გაიყო. ამ ადგილების მონაწილე გახდა აგრეთვე განთქმული დიდოსტატი ქალი სოფია პოლგარი, რომელმაც ქალთა შორის ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწია, შემდეგი კი 5,5 ქულით მაია ლომინეიშვილი იყო.

მაია ლომინეიშვილმა გვითხრა:

— დებულებით მთავარი პრიზი ქალთა შორის საუკეთესო შედეგისათვის სოფია პოლგარს ეკუთვნოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა და ამჯობინა მიეღო ერთ-ერთი ჯილდო, რომელიც გათამაშდა ვაჟთა შორის. სოფიას სურვილი, ცხადია, დაკმაყოფილეს და ქალთა მთავარი პრიზი მე მომაკუთვნეს.

„ლელოს" კორ.

კანონი

სპორტული ინვენტარი იჯარით არ გაიცემა

„იჯარის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით და საიჯარო ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულება".

ზოგადი ნაწილის მესამე მუხლში ვკითხულობთ: „აღნიშნული დებულება არ ვრცელდება მიწის, საოჯახო მოხმარების საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სპორტული ინვენტარის, საყოფაცხოვრებო და სარიტუალო დანიშნულების საგნების იჯარით გაცემაზე".

პირველი რაუნდი

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება ხელბურთში (მეთექვსმეტედფინალი).

თბილისი, 9 ოქტომბერი, სპორტის სასახლე.

„მამული" (თბილისი) — „სვეტოტეხნიკა" (ბროვარი)— 28:24 (16:12).

მსაჯები: რიფატ პალა და ზია დავასგლი (ორივე — თურქეთი).

„მამული": ქოქოსაძე, ღლონტი, ჯიაძე; გაბრიჭიძე, უშვერიძე, კალანდაძე, არსენაშვილი.

„სვეტოტეხნიკი: ბოლუჩენკო, ჩაიჩენკო, მალიუტა, კუდაკოვი, პივოვაროვი, ჩანჩა, გალუჩენკო, იაკოვენკო, მელეშკო, ბორტნიკი.

განმეორებითი მატჩი გაიმართება მეტოქის მოედანზე 16 ოქტომბერს.

SOS

„ეპიდემია" ქართულ სპორტს სიკვდილით ემუქრება

ბევრი ქართველი სპორტსმენი ამოვარდა მსოფლიო სპორტული მოძრაობის ორბიტიდან. მიზეზი? ჩვენი ეკონომიკური ხელმოკლეობა. ზოგი სპორტული ბიოგრაფიის გასაგრძელებლად უცხო ქვეყანაში მიდის, ზოგიც თავს ანებებს ვარჯიშს, ზოგიც შინ რჩება უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინში. მაგრამ... სულ ახლახანს საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდი, იგივე ბედი ეწია ბატუტისტებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე იყვნენ მიწვეულნი პორტუგალიაში. ახლა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას აკრობატების გამგზავრება ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონატზე.სწორედ უსახსრობის გამო წლეულს ზემოაღნიშნული სპორტის სახეობების ბევრმა წარმომადგენელმა ვერ მიიღო მონაწილეობა დიდ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში. ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, წინ დაგვხვდება, საშეჯიბრო ეტაპების გამოტოვება საერთაშორისო სპორტის ელიტიდან ჩამოცილებას ნიშნავს. ეს პროცესი შეინიშნება თითქმის სპორტის ყველა სახეობაში.

თუ ეს „ეპიდემია" გაგრძელდა, ქართული სპორტიდან მხოლოდ წარსული დიდებაღა დარჩება.



ვიქტორ სანეევი მეოთხე წელიწადია კონტრაქტით მუშაობს და ოჯახით ცხოვრობს სამხრეთ კორეაში — სეულში. წერილი ვიქტორ სანეევზე „ჯერჯერობით ერთადერთი" იხილეთ მე-2 გვერდზე.

ІЧІДЕВА ჩეხური წარმოების ბიმეტალის საბეჭდი ფირფიტები (A-22 ECH-12; ზომა 530 X 650). ფასი შეთანხმებით.

დარეკეთ: 99-56-14; 99-56-47.

ქირავდება ორი ოთახი (40 და 24 კვ.მ.) ოვისისათვის ოპერასთან II სართული (4,5 მ. ჭერის სიმაღლე), ტელეფონით. დარეკეთ 98—65—52 ან 99-68-95.

ვამზადებ ინგლისურ ენაში მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სხვა მსურველებს. ტელ: 93-20-72.

ІЧІДЕВА პიანინო „PETROF". ტელ.: 61-09-87.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

შესარჩევი მატჩები

დემჩო პენევი:

„თქვენ ძლიერი ნაკრები გყავთ და ბევრ გუნდს კიდევ გაამწარებთ"

ამთავითვე დავძენ, რომ ბულგარეთში დიდი ილუზიებით არც მე და არც ჩემი კოლეგები არ მივემგზავრებოდით: იფიქრო წარმატებაზე მსოფლიოს მეოთხე გუნდთან, თანაც მისსავე მინდორზე ზედმეტ ოპტიმიზმად მიგვაჩნდა. დღეს ამ ქვეყანაში ფეხბურთის ნამდვილი ბუმია. დიმჩო პენევი და მისი ფეხბურთელები ეროვნული გმირების რანგში არიან. იმ წუთებში, როდესაც საქართველოს სპორტული დელეგაცია „ორბის" წყალობით, დაგვიანებით ჩაფრინდა სოფიაში, ქვეყნის წინამძღოლი ჟ. ჟელევი განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში საპატიო მეოთხე ადგილის მოპოვებისათვის საზეიმო შეხვედრას უწყობდა ბულგარელ ფეხბურთელებს. თითოეულს იქვე დანაპირები 75 ათასი დოლარი გადაეცათ, ხოლო ხრისტო სტოიჩკოვი პლოვდივის საპატიო მოქალაქედ არჩევისას საქართველოს ნაკრების კარში მინიმუმ სამი გოლის გატანას იქანდებოდა. თურმე ლეჩკოვი, სირაკოვი და ბადაკოვიც ბევრს ტრაბახობდნენ. სხვათა შორის აეროპორტიდან გუნდის შეკრების ადგილზე მიმავალი სტოიჩკოვი ავტოავარიაში მოხვედრილა და მხოლოდ მანქანა დაზიანებია.

12. ოქტომბერი. სოფია. ვასილ ლევსკის სახელობის ეროვნული სტადიონი. 60 ათასი მაყურებელი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: **ბულგარეთი** (ეროვნული ნაკრები) — **საქართველო** (ეროვნული ნაკრები) 2-0. მსაჯები: ლ. გადოში, ი. ფაბუნგი, გ. ზვოდანეკი, სარეზერვო — კ. იბრინგი (უველანი სლოვაკეთიდან). უეფას დელეგატი კ. პალოტაი (უნგრეთი).

ბულგარეთი: პოპოვი, კირიაკოვი, ივანოვი, ცვეტანოვი, ხუბჩევი, იანკოვი, ბორიმიროვი (კოსტადინოვი), სტოიჩკოვი, ლეჩკოვი, სირაკოვი (პენევი), ბადაკოვი;

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, კუდინოვი, ნემსაძე (ინალიშვილი), გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გურული).

გოლები: კოსტადინოვი — 2.

გაფრთხილეს: რევიშვილი, კუდინოვი, იანკოვი.

ამ მატჩს საქართველოს ნაკრებს მე. პირადად პასივში არ ჩავუთვლიდი: ბიჭებმა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ყველაფერი ჩააქსოვეს წარმატების მისაღწევად. ტაქტიკურადაც სწორად ააგეს თამაში სწრაფ კონტრშეტევებზე, დაცვაში მშვენივრად მოქმედებდა ცხადაძე, საყრდენ ნახევარმცველად ამჯერად კუდინოვი მოგვეკლინა, მოედნის ცენტრს დამაჯერებლად აკონტროლებდნენ ქინქლაძე, ნემსაძე, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი... სამწუხაროდ, კვლავ იჩინა თავი ქართული ფეხბურთის ძველმა სენმა — აშკარა საგოლე მომენტების გამოუყენებლობამ. მეორე ტაიმში კი შეცვლაზე გამოსულმა კოსტადინოვმა, ისარგებლა რა დაცვის უყურადღებობით, ორი გოლი გაიტანა ჩვენების კარში.

მარცხის მიუხედავად, ვიმეორებთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშს ურიგო შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ეს დაადასტურა პრესკონფერენციაზე გამოსულმა ბულგარელთა გუნდის თავკაცმა დიმჩო პენევმა, რომელმაც ასეთ დაძაბულ შეხვედრებში ხაზი გაუსვა პირველი გოლის გატანის ეფექტს: „ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, პირველ ტაიმში ქართველებს სამი ნაღდი მომენტიდან ერთიც რომ გამოეყენებინათ, ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა. ენახეთ მოლდოვასთან თქვენი მატჩის ვიდეოჩანაწერიც, ეს შეხვედრა ხუთი ბურთის სხვაობით უნდა მოგებოდა. თქვენ ძლიერი ნაკრები გყავთ და ბევრ გუნდს კიდევ გაამწარებთ" — დასძინა პენევმა.

ჩვენის მხრივ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავალში საცემი იყო რიგი ფეხბურთელების არასათანადო ფიზიკური მომზადება (ეს ლეგიონერებს არ ეხება). ეტყობა კლუბებში, სადაც ეს ფეხბურთელები გამოდიან, ფიზიკურ დატვირთვებს ერიდებიან.

სამწუხაროდ, გვინდა აღვნიშნოთ ბულგარელთა გუნდის ზოგიერთი წევრის აშკარად უხეში თამაში და არასპორტული საქციელი. განსაკუთრებით კი ხრისტო სტოიჩკოვის თავგასულობა. ასევე გაგვაოცა ბულგარელი მაყურებლის გარკვეული ნაწილის გაუგონარმა უპატივცემულობამ, რომელიც საქართველოს ჰიმნს სტვენით შეხვდა.

11 ოქტომბერი. სოფია. ბულგარეთის არმიის სახელობის სტადიონი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: **ბულგარეთი** (ახალგაზრდული ნაკრები) — **საქართველო** (ახალგაზრდული ნაკრები) 1-0. მსაჯები: ა. გეორგიუ, გ. პეკრისი, მ. ლუიზუ, სათადარიგო — მ. სპირუ (უველანი კვიპროსიდან). უეფას დელეგატი: კ. პალოტაი (უნგრეთი).

ბულგარეთი: კ. პეტკოვი, კიშიშევი, გ. ივანოვი, ნედელჩევი, იონკოვი, ბაჩევი, ხრისტოვი (პეტროვი), რ. ივანოვი, ფაბოვი, მ. პეტკოვი, ბორისოვი (გ. ივანოვი);

საქართველო: ჯვარამაძე, რეხვიაშვილი, ბურნაძე, პაპიძე, ბუცურეიშვილი, კიკნაძე, ლუდუშაური, მუჯირი, (დემეტრაძე), ასპინძელაშვილი, ანჩაბაძე, ზ. ჯანაშია. **გოლი:** რ. ივანოვი.

გაფრთხილეს: მ. პეტკოვი, მუჯირი, პაპიძე, რეხვიაშვილი.

მაყურებელმა თანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრა იხილა. მატჩის დასაწყისშივე (მე-3 წუთზე) ჩვენმა ფეხბურთელებმა მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი, ბულგარელებმა მყისვე წინ გაგზავნეს იგი. მოულოდნელად წაბორძიკდა პაპიძე და ფეხი ააცილა ბურთს. იგი შეუფერხებლად მიიღო სტუმართა კარის სიახლოვეს მდგომმა რ. ივანოვმა, რომელმაც შანსი არ გაუშვა ხელიდან. ამის შემდეგ ბულგარელები უფრო თავის კარის უსაფრთხოებისათვის ზრუნავდნენ. ქართველი ფეხბურთელები ბევრს ცდილობდნენ გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ ჯანაშიამ და ორჯერ ლუდუშაურმა ნაღდი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს.

ჯემალ ჭიკაშვილი,
თბილისი-სოფია-თბილისი.
„ლელოს" სპეც. კორ.

ხუთი მატჩი და ათასი სიბინძურე!

მეორე მატჩი (1985) ● ცნობა შედგენილია 1987 წლის ივნისში

„პირველი მატჩის დახურვის შემდეგ ფელდმანი, კარპოვის თხოვნით, 1985 წლის 6 მარტს ლვოვში გაემგზავრა, რათა დორფმანს შეთანხმებოდა კასპაროვთან მეორე მატჩის დროს თანამშრომლობის შესახებ.

მოლაპარაკების დროს დორფმანი დათანხმდა გადაეცა კარპოვისთვის ინფორმაცია და ამაში 100 ათასი მანეთი მოითხოვა. კარპოვმა მიიღო მისი პირობები, ოღონდ ფინალდება მისცა ინფორმაციის გადაცემა და ამის შესაბამისად მისი ღირებულების გადახდა სამ ეტაპად დაყოფილიყო: 1. მასალების გადაცემა 1984 წლის პირველი მატჩისათვის მზადებისა და მისი მიმდინარეობის შესახებ; 2. ინფორმაცია 1985 წლის ახალი მატჩისათვის მზადების შესახებ; 3. ინფორმაციის გადაცემა ახალი მატჩის მსვლელობის დროს.

1985 წლის მარტიდან 1 ივნისამდე ფელდმანი სამჯერ იმყოფებოდა ლვოვში დორფმანთან მოლაპარაკების სანარმოებლად ოგებს თანამშრომელ ვოლდიასთან ერთად, რომელიც მას ინსტრუქციას აძლევდა, იცადა და ყოველი შეხვედრის წინ აძლევდა ინიციატურულ მაგნიტოფონს საუბრების ჩაწერად.

1985 წლის 1 ივნისს ლვოვში მორიგი შეხვედრის დროს დორფმანმა მას გადასცა 25 ფურცელი ინფორმაცია კასპაროვის საჭადრაკო მზადების შესახებ პირველი მატჩის წინ (ოდეები, დებიუტების დამუშავება, გადადებული პარტიების ანალიზი), უპასუხა 10 საჭადრაკო და 5 საერთო კითხვაზე, რომლებიც კარპოვის უფროსმა მწვრთნელმა იგორ ზაიცევმა შეადგინა, დაწერილებით დაახასიათა კასპაროვისა და მისი გუნდის წევრების პირადი თვისებები, მათი პოტენციური შესაძლებლობები. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მწვრთნელ ვლადიმიროვის პიროვნებას.ამ ინფორმაციისათვის ფელდმანმა დორფმანს 7000 მანეთი გადუბადა.

ამის შემდეგ, მომდევნო შეხვედრებისას დორფმანმა უარი განაცხადა ინფორმაციის გადაცემაზე, მოითხოვა მისთვის წინასწარ გადაეხადათ 100 ათასი მანეთი. მას შესთავაზეს ფულის შემნახველი სალაროს წიგნაკზე გადარიცხვის ხხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ ყველა ამ შესაძლებლობაზე იუარა, მოითხოვა ფულის უშუალოდ გადაცემა, რაზეც კარპოვი არ დათანხმდა.

მოლაპარაკება 1985 წლის 5 აგვისტომდე მიმდინარეობდა. ფელდმანი მოსკოვსა და სოჭს შორის წინ და უკან დადიოდა (სოჭში მიმდინარეობდა კარპოვის მზადება). არც კარპოვი თმობდა რიგზეს და არც დორფმანი. ამის შემდეგ დორფმანთან შეხვრები შეწყდა.

იხ. მე-2 გვ.

გაგრძელება: დასაწყისი იხ. „ლელო" №34.

პირველი, პირველია, პირველად...

ჯერჯერობით ერთადერთი

ვიქტორ სანეევი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპორტსმენია საქართველოდან, ვინც ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული და, ბუნებრივია, სამგზის გვირგვინოსნად ითვლება. ჩვენი მეორე ათლეტი ლევან თქდიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი ორჯერ იყო. სხვათა შორის, ლევანს დიდი და აბსოლუტურად რეალური შანსი ჰქონდა გამხდარიყო სამი ოლიმპიადის მონაწილე და, მაშასადამე ჩემპიონიც, შაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო იგი ვერ მოხვდა მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეთა სიაში. თუმცა, ეს შემთხვევა ცალკე საუბრის თემა გახლავთ და ადრე თუ გვიან მას უსათუოდ დავუბრუნდებით.

მაშ ასე, ვიქტორ სანეევი პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია საქართველოშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაშიც. ვაჟთა მძლეოსნობის ოლიმპიურ ისტორიას ახსოვს ერთი სპორტსმენის გვარი, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი (ალბათ ხვდებით, ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს ერთ სახეობაში მოპოვებულ გამარჯვებაზე, თორემ, მაგალითად, ფინელი სტაიერი ლასე ვირენი ორ ოლიმპიადაზე იყო ჩემპიონი 5 და 10 კილომეტრზე რბენაში და, ბუნებრივია, ოთხი ოქროს მედლის მფლობელია). ეს სპორსტმენი გახლავთ ამერიკელი ბადრისმტყორცნელი, ალფრედ ორტერი, რომელმაც ოქროს მედლები მოიპოვა 1956, 60, 64 და 68 წლებში. ვიქტორ სანეევის გარდა ზედიზედ სამჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი მეორე ამერიკელი, ოღონდ ტროსმტყორცნელი ჯონ ფლანაგენი (1900, 04, 08 წლები). როგორც ხედავთ ამ სიაში ვიქტორ სანეევი მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

სხვათა შორის, სხვებზე უფრო მეტად სტაბილურ წარმატებას ოლიმპიადებში სწორედ სამმხტომელები აღწევდნენ. მაიერ პრინსტეინი (აშშ) ოქროს მედალს ფლობდა ორჯერ (1900 და 04). ასეთივე შედეგები ჰქონდათ მოგვიანებით ბრაზილიელ ადემარ ფერეირა და სილვას (1952, 56) და პოლონელ იუზეფ შმიდტს (1960, 64). ე.ი. ვიქტორი სამმხტომელთა შორისაც პირველი და ჯირჯერობით ერთადერთი გახლავთ.

როგორი იყო სახეევისა და ძისი ძთავარი კონკურენტების მაჩვენებლები ცალკეულ ოლიმპიადებზე, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა მათ შორის?

მეხიკო, 1968 წელი. XIX ოლიმპიადა. 17 ოქტომბერი. საკვალიფიკაციო ნორმატივი 16.00 მ.

1. ვიქტორ სანეევი (სსრკ). კვალიფიკაცია — 16,22; I ცდა — 16.22; II ცდა — 16,84; III ცდა — 17.23; IV ცდა — 17.02; V ცდა — 16,81; VI ცდა 17,39 — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდი.

2. ნელსონ პრუდენსიო (ბრაზილია). კვალიფიკაცია — 16.46; I ცდა — 16,33; II ცდა — 17.05; III ცდა — 16,75; IV ცდა — გააფუჭა; V ცდა — 17,27; VI ცდა — 17,15.

3. ჯუზეპე ჯენტილე (იტალია). კვალიფიკაცია — 17.10; I ცდა — 17,22; II ცდა — გააფუჭა, III ცდა — გააფუჭა, IV ცდა —გააფუჭა, V ცდა — 16,54; VI ცდა — გააფუჭა.

მიუნხენი. 1972 წელი. XX ოლიმპიადა. 4 სექტემბერი. საკვალიფიკაციო ნორმატივი — 16,20.

1. ვიქტორ სანეევი (სსრკ). კვალიფიკაცია — 16,85; I ცდა — 17,35; II ცდა — 16,71; III ცდა — 17,19, IV ცდა — გააფუჭა; V ცდა — 16,98; VI ცდა — გააფუჭა.

2. იორგ დრეიმელი (გდრ). კვალიფიკაცია — 16,57; I ცდა — გააფუჭა; II ცდა — 17.02; III ცდა — გააფუჭა, IV ცდა — გააფუჭა; V ცდა — 17,31; VI ცდა — 15,34.

3. ნელსონ პრუდენსიო (ბრაზილია). კვალიფიკაცია — 16,42; I ცდა — 16,87; II ცდა — 16,61; III ცდა —16,35; IV ცდა — 16,88; V ცდა — გააფუჭა, VI ცდა — 17,05.

მონრეალი. 1976 წელი. XXI ოლიმპიადა. 30 ივლისი. საკვალიფიკაციო ნორმატივი — 16.30.

1. ვიქტორ სანეევი (სსრკ). კვალიფიკაცია — 16,77; I ცდა — გააფუჭა; II ცდა — 16,71; III ცდა — 17,06; IV ცდა — გააფუჭა; V ცდა — 17,29; VI ცდა — გააფუჭა.

2. ჯეიმს ბატსი (აშშ). კვალიფიკაცია — 16,55; I ცდა — 16,55; II ცდა — 16,76; III ცდა — 14,80; IV ცდა — 17,18; V ცდა — 16,55; VI ცდა — 16,61.

3. ჟოაო დე ოლივეირა (ბრაზილია). კვალიფიკაცია — 16,81.

I ცდა — გააფუჭა; II ცდა — 16,15; III ცდა — 16,85; IV ცდა — 14,91; V ცდა — 16,69; VI ცდა — 16,90.

1980 წელს ვიქტორ სანეევმა მეოთხედ სცადა ძალა ოლიმპიურ თამაშებში და უნდა ითქვას, სულ ახლოს იყო გამარჯვებასთან. მაგრამ საბოლოოდ მეორე ადგილსა და,ვერკლის მედალს დასჯერდა (17,24). ოლიმპიური ჩემპიონი კი მოსკოვში გახდა ესტონელი ი. უუდმიაე (17,35), რომელსაც არც მანამდე და არც თამაშების შემდეგ არაფრით გამოუჩენია თავი.

ხუთი მატჩი და ათასი სიგიჟეები

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

1985 წლის 27 აგვისტოს მოსკოვში დორფმანი ტელეფონით მოულოდნელად დაუკავშირდა ფელდმანს და შეხვედრა სთხოვა. ამ შეხვედრისას (ეტყობა კარპოვზე მორალური დაწოლის მიზნით) მან ფელდმანს გადასცა კასპაროვ-დორფმანის დახურული სანვრთნელი მატჩის (ეს ყველასათვის საიდუმლო უნდა ყოფილიყო) ორი პარტიის ტექსტი.

1985 წლის მატჩის მეორე პარტიის შემდეგ კარპოვმა გამოიძახა ფელდმანი. დაავალა დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა დორფმანს, გადაეცა მისთვის 100 ათასი მანეთი და დაენყო კასპაროვის ბანაკიდან მუდმივი ოპერატიული ინფორმაციის გადაცემა. ამ მომენტში დორფმანი შეჭოჭმანდა, აღელო თუ არა ფული, შეხვედრებს თავს არიდებდა. მაშინ კარპოვმა ნება დართო დორფმანისათვის 150 ათასი მანეთი მიეცათ, მაგრამ დორფმანი საერთოდ არ ტოვებდა კასპაროვის რეზიდენციას და ტელეფონის ზარებსაც არ უპასუხებდა. საჭირო გახდა სასტუმროსთან სადღეღამისო თვალთვალის შემოღება, კასპაროვის გუნდის ცხოვრების შესახებ კი ინფორმაციის მიღება ერთი ხანშიშესული დამლაგებელი ქალისაგან.

მეათე პარტიის შემდეგ დორფმანმა მოთხოვნა ნამოაყენა, გადაცემული ინფორმაციის სანაცვლოდ, მისთვის ლვოვის ბინა მოსკოვისაზე გადაეცვალათ. კარპოვი ნერვიულობდა, აჩერებდა თავისიანებს. ორ დღეში მოამზადეს მოსკოვის საქალაქო საბჭოს (მოსსოვეტის) გზით ეს აუცილებელი დოკუმენტები და დორფმანს გადასცეს. ეს უკანასკნელი მაინც ჭოჭმანობდა, ინფორმაციის გადაცემას აგვიანებდა. შემდეგ საქმეში მოულოდნელად კაგებე ჩაერია („დორფმანმა გაგვცა ჩვენ") და მასთან კონტაქტი შეწყდა...

ცნობა
(1985 წლის ოქტომბერი)

„1985 წლის 1 ოქტომბერს ოპერატიულ მუშაკს მოსკოვიდან ბაქოში დაურეკა აზერბაიჯანის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გენადი სამედის ძე რზაევმა (კასპაროვის გუნდის ხელმძღვანელმა მატჩის მიმდინარეობის დროს) და შეატყობინა, რომ მატჩის მსვლელობისას მას მიმართა კასპაროვის მწვრთნელ-სეკუნდანტმა, აღელვებულმა და შეშინებულმა ლვოველმა დიდოსტატმა დორფმანმა. მან განაცხადა, რომ ტელეფონით ნომერში უცნობი პირები ურეკავენ, სიკვდილით ემუქრებიან, მოითხოვენ, რომ შეწყვიტოს კასპაროვისათვის დახმარება. გარდა ამისა, ქალაქშიც და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზშიც მას მუდმივად დასდევდნენ ვიღაც საეჭვო პირები.

ხანგრძლივი საუბრისას, რომელიც რზაევსა და დორფმანს შორის ამ თემაზე მიმდინარეობდა, კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ესოდენ უჩვეულო სიტუაცია, დორფმანმა ერთგვარი შეყოვნების შემდეგ თქვა: კარპოვ-კასპაროვის მატჩის დასაწყისში ჩაიკოვსკის დარბაზში მასთან მივიდა ბავშვობის მეგობარი ალექსანდრ პეტრუს ძე ფელდმანი (ერთად იზრდებოდნენ ყიტომირში), ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელი, მოსკოვში მცხოვრები („ცნობაში", რომელიც ფელდმანის სიტყვების მიხედვითაა შედგენილი, მისი ნაცნობობა დორფმანთან, როგორც მკითხველს ახსოვს, სულ სხვანაირად გამოიყურება. პირველ მატჩზე დორფმანს აქ კრინტიც არ დაუძრავს — ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება — მ.ჯ.). მასთან ურთიერთობის დროს დორფმანმა შეიტყო, რომ ფელდმანი ახლოს იცნობს მოსკოველ წამყვან მოჭადრაკეებს, კარპოვ-კასპაროვის მატჩზე იატაკქვეშა საჭადრაკო ტოტალიზატორის ერთ-ერთი ორგანიზატორია... ერთ-ერთი შეხვედრის დროს ფელდმანმა დორფმანს კარპოვის სახელით 100 ათასი მანეთი შესთავაზა კასპაროვის საჭადრაკო მზადებაზე გადაცემული ინფორმაციისათვის.

როცა დორფმანმა ყოველივე ეს ხუმრობად მიიღო, ფელდმანმა მთელი სერიოზულობით განაცხადა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ მოუტანოს 50 ათასი მანეთი ან დასავლური ვალუტა კურსის მიხედვით, დანარჩენი 50 ათასი კი ინფორმაციის მიღებისას გადასცეს. ამ წინადადებამ დორფმანი შეაშინა, გარკვეული პასუხი არ მიუცია და ამ დროიდან მოყოლებული, ფელდმანთან შეხვედრებს თავს არიდებდა. მაშინ უცნობმა პირებმა დორფმანის შანტაჟირება დაიწყეს ტელეფონით და მას სიკვდილით ემუქრებოდნენ.

რზაევი მაინცდამაინც არ უჯერებდა დორფმანის ლაპარაკს, მაგრამ უნდოდა როგორმე განემუხტა მის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და იგი უცნობი ვიგინდარების დევნისაგან დაეცვა (დორფმანი შიშისაგან სრულიად დემორალიზებული იყო, მისი დახმარება კასპაროვისადმი მატჩში ნოლს უდრიდა). მან შესთავაზა დორფმანს შეხვედროდა ფელდმანს, თავი ისე მოეჩვენებინა, რომ თანახმაა კარპოვს ინფორმაცია გადასცეს, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი თავის გავლენას გამოიყენებს და დაეხმარება მოსკოვში ჩაეწეროს. რზაევის წინადადება იმაზე იყო გათვლილი, რომ მოკლე დროში ამ პირობებს თვით ყოველისშემძლე კარპოვი და მისი მაღალი მფარველებიც კი ვერ შეასრულებდნენ. ამასობაში დრო გავიდოდა, მატჩი დამთავრდებოდა და დორფმანიც შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევას შეძლებდა. 1985 წლის 28 სექტემბერს დორფმანი, რზაევის რეკომენდაციის თანახმად, ფელდმანს შეხვდა და უთხრა, რომ თანახმაა კარპოვს ინფორმაცია გადასცეს, თუკი იგი დაეხმარება ლვოვიდან მოსკოვში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლაში. ასეთმა განცხადებამ ფელდმანი საგონებელში ჩააგდო, მოითხოვა დრო მის შესახსნელად. მაგრამ უკვე 30 სექტემბერს მან ტელეფონით გამოიძახა დორფმანი შესახვედრად და გადასცა მოსკოვის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის შუამდგომლობა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა.ი. კოსტენკოს მიმართ № 01-22/5031 1985 წლის 30 სექტემბერს... დათარიღებული, თხოვნით, ხელი შეეწყოთ დიდოსტატ დორფმანის საცხოვრებლად ქ.მოსკოვში გადასვლაზე, რათა მას მოსკოვის მოჭადრაკეთა ნაკრები მოემზადებინა. ამ შუამდგომლობაზე რეზოლუციაც იყო: ამხანაგ ა.ს.დუბროვინს (განყოფილების გამგე — მ.ჯ). „გთხოვთ კომისიაზე გაიტანოთ და შეძლებისამებრ დაეხმაროთ". ამასთან, ფელდმანმა დორფმანი მკაცრად გააფრთხილა, რომ თუ ამ დოკუმენტზე ვინმესთან კრინტს დაძრავდა, მას დიდი უსიამოვნებები ელოდებოდა. ამის შემდეგ ფელდმანმა მოითხოვა დაუყოვნებლივ დაენყო ინფორმაციის გადაცემა, გაფრთხილა, რომ თუკი დორფმანი უსატიოსნო თამაშს დაიწყებდა, მის ცოლსა და ქალიშვილს სიკვდილი ემუქრებოდა. მოულენების მოულოდნელმა განვითარებამ დორფმანი საბოლოოდ დააფრთხო, იგი მიხვდა, რომ სასტიკი და მძლავრი დამნაშავე დაჯგუფების ბადეში მოხვდა და მის სიცოცხლეს სრულიად რეალურად საფრთხე დაემუქრა. იგი ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ მართლაც შეეძლო ნებისმიერი მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაედგა..."

ლიტვინოვი: გენადი სამედის ძემ (რზაევმა) სიტუაცია, რა თქმა უნდა, ჯეროვნად ვერ შეაფასა. დორფმანმა ხომ მას უკვე 25 სექტემბერს მიმართა, რზაევმა კი სამსახურში მე მხოლოდ 1 ოქტომბერს დამირეკა. პირველი, რაც მან გადაწყვიტა, ის იყო, რომ წერილი, რომელიც მას დორფმანმა მოსკოვის საბჭოდან მოუტანა, ნაყალბევი იყო. თავმჯდომარის მოადგილე კოსტენკოს ხელმოწერაც — ყალბი. მან აიღო ეს წერილი და წავიდა მოსკოვის საბჭოში, სადაც ნაცნობების დახმარებით ნომრების მიხედვით რეზოლუციების სინამდვილე შეამონმა და... წარმოუდგენლად გაოცდა, როცა ყველაფერი ნამდვილი აღმოჩნდა. აქ კი გენადი სამედის ძე შეძრწუნდა. სახტად დარჩენილი იმით, რომ თურმე შეიძლება პრაქტიკულად სულ რაღაც ორი დღის მანძილზე მოსკოვში ჩაგნეროთ კიდეც და ბინაც მოგცენ (რა ძალები უნდა იყვნენ ამაში ჩართულნი?!), იგი მაშინვე დამიკავშირდა ბაქოში აზერბაიჯანის მუდმივ წარმომადგენლობიდან... რზაევი მიხვდა, რომ ლაპარაკი იყო ხელისუფლების მაღალ სტრუქტურებზე, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ დორფმანს კარპოვისათვის ინფორმაცია გადაეცა.

ცნობა
(1985 წლის ოქტომბერი)

„დელეგაციის ხელმძღვანელმა რზაევმა ოპერმუშაკთან საუბარში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მდგომარეობა მატჩზე ძალზე დაძაბულია, კასპაროვის გარემოცვა, მისი მაღალი რანგის მფარველები მუდმივად აწარმოებენ დანოლას კასპაროვზე და მისი დელეგაციის ნევრებზე, ცდილობენ წონასწორობიდან გამოიყვანონ ისინი. ასეთ სიტუაციაში ინფორმაციის გავრცელება „ფელდმანისა და დორფმანის საქმის შესახებ" წარმოუდგენელი მასშტაბის სკანდალამდე, მატჩის ჩაშლამდე მიგვიყვანდა. ამასთან დაკავშირებით რზაევმა გვთხოვა ეს ინფორმაცია რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა კავშირის კაგებესათვის გაგვეცნო.

ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეცა აზერბაიჯანის კაგებეს თავმჯდომარეს ამხ. ზ.მიუსიფ-ზადეს, რომელმაც სწრაფად მოახსენა შექმნილი სიტუაციის შესახებ აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ამხ. ბაგიროვსა და საბჭოთა კავშირის კაგებეს მეხუთე სამმართველოს უფროსს ი.პ. აბრამოვს (ამის შესახებ აუცილებლად იცოდა პოლიტბიუროს წევრმა გ.ა.ალიევმაც — მ.ჯ.). იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კაგებეს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ფ.დ.ბობკოვის მითითებით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი ფელდმანის ჯგუფზე მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად. შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ რზაევი დორფმანისაგან მიღებულ მთელ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის კაგებეს გადასცემდა ტელეფონით აზერბაიჯანის მუდმივი წარმომადგენლის ზ.ზ.პუსეინოვის კაბინეტიდან. მიიღეს ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ არავის შეეტყო რაიმე დორფმანის კავშირის შესახებ ფელდმანსა და კარაოვთან, მით უმეტეს კასპაროვსა და მისი დელეგაციის წევრებს.

მელნიკ-კარამოვი: ამ დღეებში მოსკოვში ჩამოიტანეს გერმანული ჟურნალი „შპიგელი" სენსაციური მასალით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული სასამართლო პროცესის შესახებ, სადაც კარპოვი გამოვიდა თავისი ყოფილი საქმიანი პარტნიორის წინააღმდეგ, რომელმაც ჩვენს ჩემპიონს თითქმის მილიონი მარკა დაუმალა. კარპოვის ინტერესებს სასამართლოში კამპანანეხი იცავდა. იმ წლებში იმის გაგება, რომ რეჟიმის ყველაზე საიმედო იდეოლოგიურმა „ბურჯმა" მალულად მოანერა ხელი კომპიუტერების რეკლამის კონტრაქტს — აი, სიახლეც ამას ერქვა!

რომელილაც პარტია მთავრდებოდა, როცა ცეკას მდივანი დოლგიხი მოვიდა. შეხვედრა დამთავრდა კიდეც, ყველა დაიშალა. ქუჩაში დარჩნენ მხოლოდ დოლგიხის მცველები და კიდევ ორი, კაგებეს ოპერმუშაკი, ჩემი ძველი მეგობრები, რომლებიც მანქანით შინ მიყვანას დამპირდნენ. მეგობრებს ათას რამეზე ვესაუბრე, მოვუყევი „შპიგელში" გამოქვეყნებული სტატიის შესახებ, ამასთან, ისიც შევნიშნე, რომ ანატოლი ევგენის ძის გულშემატკივრების ნანილმა იგი „კარპოვის ზურგში მიყენებულ სიონისტურ დარტყმად" გამოაცხადა.

„დიდი ამბავი არ არის ეს სტატია — მითხრა ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ — ჩვენ აქ იატაკქვეშეთ მოქმედ ტოტალიზატორს ვამეცლავნებთ..."

ოპერატიული ჯგუფი დაკვირვებას აწარმოებდა, ტელეფონით საუბრებს ისმენდა, საბოლოოდ დარწმუნდა ტოტალიზატორის არსებობაში და ორი რეციდივისტიც კი გამოავლინა, რომლებზეც საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული.

კასპაროვი ჩემპიონი გახდა. დრო ელვის სისწრაფით გავიდა, უკვე მოახლოვდა მატჩრევანშის ჟამი. ტოტალიზატორს, ეტყობა, საბოლოოდ მოუღეს ბოლო. აი მეტოქის სურვილს კი არ მოეღო ბოლო — მიეღო ინფორმაცია კასპაროვის მზადების შესახებ.

მოგვაწოდა
ბივი გამრეკელმა.

(გაგრძელება იქნება)

სპორტული ლექსიკონი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №16, 17)

ალურ-ი (ფრანგ.) ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა (ნაბიჯით, თოხარიკით, ოთხით და სხვ.)

ამაზონ-ი (ბერძნულია — ამორძალი) მითიური მეომარი ქალი. 1. ცხენოსანი ქალი. 2. ქალის საცხენოსნო კაბა.

ახან-ი კუთხ. (იმერ.) ღონე, ჯანი.

ამარცხებ-ს (დაამარცხა, დაუმარცხებია) მარცხს აგემებს, განაცდევინებს, სძლევს, მოერევა.

ამგავან-ი კუთხ. (გურ.) აგებულება (სხეულისა).

ამლათი — ხანს სწრაფი (სწრაფვით) საბა.

ამლათი კუთხ. (მთიულ., გუდამაყ.) უცბად, ერთ წამში, დროზე; ამლათ-ი (მოხ. გუდამაყ.) მარდი, სწრაფი, მარჯვე...

ამოსხარტულ-ი კუთხ. (ფშ.) ტანწერწეტა, კობტა...

ამლაკ-ი (ამლაკისა) „ჭრელი ცხენი" (საბა) შდრ. ამლაყი, აბლაკი.

ამლაყ-ი (ამლაყისა, ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი. შდრ. ამლაკი, აბლაკი.

ამოაგელვებ-ს (ამოაგელვა, ამოუგელვებია) გელვებით ამოიყვანს, — ამოაჭენებს. ცხენი ამოაგელვა.

ამოაჯირითებ-ს (ამოაჯირითა, ამოუჯირითებია) ჯირითით ამოიყვანს. ცხენი აღმართზე ამოაჯირითა.

ამორძალ-ი (ამორძალისა) მითოლ. მეომარი ქალი (ბერძნული თქმულებებით ამორძალები მოსახლეობდნენ შავი ზღვის სანაპიროებზე; ჰქონდათ საკუთარი, უმამაკაცო სამეფო).

ამტანობა (ამტანობსა) მძიმე პირობების ატანის უნარი, — გამძლეობა.

ამუნიცია (პოლონ.)... 2. ცხენის აღკაზმულობა (უნაგირი, მოსართავები და სხვ.).

ამხედრდებ-ა (ამხედრდა, ამხედრებულა) 1. შეჯდება (ცხენზე)...

ანავარდებ-ს (ანავარდა, უნავარდებია). ნავარდით ატარებს (ცხენს).

ანაზდი — ანაზდეული (ანაზდი, მყის, იჩქითი... მსწრაფლ...).

ანეკი-ბანეკი კუთხ. (ქიზიყ.) საბავშვო თამაშობაა ერთგვარი.

ანკესი — წვლილი ნემსკავი (საბა).

ანჩხ-ი (ანჩხისა) უნაგირი.

აოკებ-ს აჩერებს, იჭერს, იმორჩილებს.

აოტებ-ს (აოტა, უოტებია) გააქცევს.

აპელ-ი (ფრანგ.) ფარიკაობაში: მარჯვენა, წინ გამოწეული, ფეხის დარტყმა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის ან მსაჯის ყურადღების მიქცევა.

აპერკოტ-ი (ინგლ.) კრივში: დარტყმა ქვემოდან ყბაში ან სხეულში.

არბალეტ-ი (ფრანგ) ხელით სასროლი ძველებური იარაღი, გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; იყენებდნენ დასავლეთ ევროპაში.

არბიტრ-ი (ფრანგ..)... 2. (სპორტ.) მთავარი მსაჯი.

არდი (ნ. ანაზდი, წამი). საბა.

არენა (ლათ.)... 3. (გადატ.) ასპარეზი, სარბიელი.

ართურმა (ართურმისა) თურქულია — ართთირმა: „მომატება", „გადიდება". თამაშობაა ერთგვარი; ერთი ან რამდენიმე ბავშვი დაიკუზება და სხვები ზედ გადაახტებიან ხოლმე, ოთურმა (შდრ.ჯორიღლეტაობა).

არკინული კუთხ. (მესხ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი.

არტყმა (არტყმისა) სპორტ. აკვრა.

ას-ი (ფრანგ.)... 2. საუკეთესო (ექსტრაკლასის) სპორტსმენზედაც იტყვიან.

ასკინკილაობა კუთხ. (კახ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი.

ასო (ფრანგ.) ფარიკაობასა და კრივში: ორი სპორტსმენის სავარჯიშო ბრძოლა (სხვანაირად: თავისუფალი ბრძოლა).

ასპარეზ-ი (ასპარეზისა) სპარსულია — ასბრიზ („ცხენთა სარბენი") არე (მოქმედებისა), სარბიელი.

ასპარეზობ-ს (იასპარეზა, უასპარეზნია). ასპარეზზეა გამოსული სამოქმედოდ...

ასპარეზობ-ა (ასპარეზობისა) ასპარეზზე გამოსულის მოქმედება...

აუზ-ი (აუზისა) სპარსულია — ჰავზ: ხელოვნურად გაკეთებული თავლია წყალსაცავი...

გაგრძელება იქნება.

ჯარიმა თვითნებობისთვის

ვიუწყებოდით, რომ სპორტული ინდუსტრიის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა გიგანტმა „ნაიკმა" მოაწყო ნბა-ს ვარსკვლავთა ტურნე ჩინეთსა და იაპონიაში. კრიმინალი აქ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად, არ ჩანდა. კალათბურთელებმა თავისუფალი დრო თავისი სურვილის მიხედვით გამოიყენეს და გარკვეული შემოსავალიც მიიღეს.

მაგრამ ნბა-ს იურიდიულმა სამსახურმა მაშინვე დააფიქსირა კანონის დარღვევა, უფრო სწორად, ისეთი საქციელი, რომელიც კონტრაქტით არ არის გათვალისწინებული. ამას უმალვე მოჰყვა სანქციები — ყველა კალათბურთელი დაჯარიმდა. „პორტლენდის" გუნდის წევრს ჯერომ კერსის, მაგალითად, დაეკისრა 20 ათასი დოლარის გადახდა. ჯარიმის რაოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა იყო და იგი, უმთავრესად, კონტრაქტის პუნქტებიდან გამომდინარეობდა.

მაგრამ სკანდალი, რომელსაც შეიძლებოდა კრიტიკული მასშტაბები მიეღო, ჩააქრო თავად „ნაიკმა", რომელთანაც ამ ტურნეს თითოეულ წევრს ინდივიდუალური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ფირმამ ჯარიმების კომპენსაცია თავად იკისრა და ინციდენტიც ამით ამოიწურა. ნბა-ს სპიკერის ჯენ ხაბარდის განცხადებით ამ გაუგებრობამ არ უნდა შეარყიოს კეთილი ურთიერთობა ფირმასა და ეროვნულ ლიგას შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი საქართველოს თასი

წილისყრამ დაადგინა

7 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო ეროვნული თასის მეხუთე გათამაშების მერვედფინალის წილისყრა. ერთმანეთს ხვდებიან:

„საპოვნელა“ — „ივერია“
„კახეთი“ — „დინამო“ (ბთ.)
„მეტალურგი“ — „დურუჯი“
„ტორპედო“ — „ქიზიყი“
„სამტრედია“ — „ფილა“
„გურია“ — „აზოტი“
„ანცი“ — „დინამო“ (ზ.)

თბილისის „დინამო“ თასის გათამაშებაში მეოთხედფინალიდან ჩაერთვება. პირველი შეხვედრები გაიმართება 19 ოქტომბერს, განმეორებითი — 2 ნოემბერს.

ომარ თეთრაძე თავის ამპლუაში უძლიერესია

გამოქვეყნდა რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელთა სია მარტ-სექტემბრის მონაცემებით. აი ისიც:

მეკარე. ზაურ ხაპოვი („სპარტაკი“ ვლად.)
ლიბერო. ვლადიმერ გერაშჩენკო („როტორი“)
მარჯვენა მცველი: რამიზ მამედოვი („სპარტაკი“ მოსკ.)
მარცხენა მცველი. ვლადისლავ ტერნავსკი („სპარტაკი“, მოსკ.)
საყრდენი ნახევარმცველი. ვიქტორ ნოვოჩენკო („ტექსტილშჩიკი“)
შარჯვენა ნახევარმცველი. ომარ თეთრაძე („დინამო“, მოსკ.)
მარცხენა ნახევარმცველი. ილია ციმბალარი („სპარტაკი“, მოსკ.)
დისპეტჩერი. იური კალიტვინცევი („ლოკომოტივი“ ნ.ნ.)
თავდამსხმელი. ოლეგ ვერეტენნიკოვი („როტორი“)
თავდამსხმელი. იგორ სამუტენკოვი („დინამო“, მოსკ.)
თავდამსხმელი. ვლადიმერ ნიდერგაუსი („როტორი“)
ახალგაზდა. ვლადისლავ ტერნავსკი („სპარტაკი“ მოსკ.) და ასაფ ალ-ხალიფა („ჟემჩუჟინა“).

როგორ გაქვთ საქმე მანდ, ბრაზილიაში?

დამთავრდა ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ოთხ ჯგუფში გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდნენ.

„ა“ ჯგუფი. „კორინტიანსი“ — 13 ქულა, „ფლამენგო“ — 12, „გრემიო“ — 12, „რუსიფე“ — 10, „კრისიუმა“ — 9, „ბრაგანტინო“ — 4.

„ბ“ ჯგუფი. „ბოტაფოგო“ — 12, „პაისანდუ“ — 12, „სან-პაულუ“ — 11, „პორტუგეზა“ — 10, „ატლეტიკო მინეირო“ — 7, „ვიტორია“ — 7.

„გ“ ჯგუფი. „გუარინი“ — 15, „სანტოსი“ — 14, „ვასკო და გამა“ — 11, „ბაია“ — 11, „რემო“ — 5, „კრუზეირო“ — 4.

„დ“ ჯგუფი. „პალმეირასი“ — 19, „ფლუმინენსე“ — 10, „პარანა“ — 9, „ინტერი“ — 8, „უნიან სან-ჟუანი“ — 8, „ნაუტიკო“ — 6.

ოთხ-ოთხი საუკეთესო კლუბი (ყოველი ჯგუფიდან) გავიდა გათამაშების მეორე ეტაპზე, თანაც გამარჯვებულებს დაერიცხათ თითო დამატებითი ქულა. რვა დანარჩენი გუნდი მონაწილეობას მიიღებს გადასასვლელ ტურნირში.

გაიმართა მეორე ეტაპის პირველი მატჩები.

„ე“ ჯგუფი. „ფლუმინენსე“ — „კორინტიანსი“ 1:3, „გრემიო“ — „პორტუგეზა“ 2:1, „გუარინი“ — „ინტერი“ 0:0.

„ფ“ ჯგუფი. „ბაია“ — „პარანა“ 1:1, „ფლამენგო“ — „სანტოსი“ 1:1, „პალმეირასი“ — „რუსიფე“ 1:0.

ფეხბურთის ამბები

● ბაისად, როგორც ჩანს, ამომავალი მზის ქვეყანას დატოვებენ ემიგრანტი ფეხბურთელები. უკვე დაბრუნდა ბრაზილიაში ერთ დროს ლეგენდარული ზიკო. სულ მალე დაუბრუნდება გერმანიას პოპულარული თავდამსხმელი პიერ ლიტბარსკი. შეცვალა თავისი გადაწყვეტილება ინგლისის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა ჰარი ლინეკერმაც. ორიოდე თვის წინ მან კატეგორიულად განაცხადა, რომ მშვენივრად გრძნობს თავს იაპონიაში და არ აპირებს შინ დაბრუნებას, მაგრამ ფეხბურთელმა ვერაფერით დაალწია თავი ტრავმებს და იძულებული გახდა შინ დაბრუნებაზე იფიქროს. ჟურნალისტების განცხადებით, უველამ, ვინც იაპონიიდან წასვლას აპირებს, ამ ქვეყანაში საკმაო კაპიტალი დაგროვა.

● პოპულარული დანიელი ფეხბურთელი მიქაელ ლაუდრუპი თავის ქვეყანაში „წლის ადამიანად“ დაასახელეს. ეს არ გახლავთ მხოლოდ სიმბოლური აღიარება. ლაუდრუპმა პრემიის სახით 100 ათასი კრონი, ანუ 15 ათასი დოლარი მიიღო.

● იბორ დობროვოლსკიმ კონტრაქტი გააფორმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“. პირობები ორთავე მხრიდან გასაიდუმლოებულია. ამ გარიგებამ ესპანეთში სენსაცია გამოიწვია, ვინაიდან პრესამ არაფერი იცოდა წინასწარ, კონტრაქტები კი ჟურნალისტთა „მონაწილეობის“ გარეშე, პრაქტიკულად, არ ფორმდება.

● რიო-დე ჟანეიროს „ფლამენგოს“ დიდი სურვილი აქვს შეიძინოს ბრაზილიის ნაკრებისა და ესპანეთის „დეპორტივოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ბებეტო, რომლის აქციებიც განსაკუთრებით ამაღლდა აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. „ფლამენგოს“ პრეზიდენტი ლუის აუგუსტო ველოზის უშუალოდ ფეხბურთელთან აქვს მოლაპარაკება და მას 6 მილიონ დოლარს სთავაზობს, ამ კოლოსალური თანხის გადახდა სანახევროდ იკისრეს „ნაიკმა“ და ბრაზილიაში ლუდის მწარმოებელმა ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა ფირმამ.

● ბოლო დროს ჟან-პიერ პაპენს, რომელიც ამჟამად შიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავს, ხშირად აწუხებდა ურუ ტკივილები მუხლის არეში. ექიმებმა მისი მკურნალობა ოპერაციული ჩარევით გადაწყვიტეს. ოპერაცია გაკეთდება ციურიხის ერთ-ერთ კლინიკაში. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ფეხბურთელი მწყობრში ჩადგება ერთ-ორ თვეში.

● კორეა მზად არის უმასპინძლოს ფეხბურთელთა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს. იდეას მხურვალედ უჭერს მხარს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლი იენ დოკი, რომელმაც სპორტული ორგანიზაციებისა და ფირმების წარმომადგენლებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. არადა, დახმარება მართლაც საჭიროა, ვინაიდან კორეას ჰყავს საკმაოდ ძლიერი კონკურენტი იაპონიის სახით. სხვათა შორის, თუ ამ დავაში გაიმარჯვებს რომელიმე ზემოაღნიშნული კანდიდატი, აზიას პირველად მიეცემა საშუალება უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს.

● უეფამ ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია ევროტურნირებში დაუშვა ერთი პირობით და ამასთან დაკავშირებით მას წერილობითი გარანტიები ჩამოართვა. საქმე ის გახლავთ, რომ გასვლით მატჩებში ალბანელი ფეხბურთელები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩნენ საზღვარგარეთ, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ამავე დროს უეფამ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თუ მაინც მოხდა ასეთი დანაშაული, ფეხბურთელი ავტომატურად მიიღებს სამუდამო დისკვალიფიკაციას. უცხოეთში დამთავრებული მატჩის შემდეგ ალბანელი ფეხბურთელი ვალდებულია სასტუმროში გამოცხადდეს ერთ საათში. უეფას პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ ასეთ უკიდურეს ზომას მიმართავენ იმიტომ, რომ უკვე 400-ზე მეტმა ფეხბურთელმა მოითხოვა თავვშესაფარი საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს.

● ინგლისის „ევერტონმა“ შეიძინა 21 წლის ნიგერიელი ფეხბურთელი დანიელ ამოკაჩი და ამ გარიგებაში მისთვის სარეკორდო თანხა — 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადიხადა.

● ვენესუელის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს „მინერვენის“ თავდამსხმელი სტალინ რივასი. გაისად იგი, როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, ბელგიის „სტანდარდში“ ითამაშებს.

● სპორტული ფეხსაცმელებისა და ფორმის საქვეყნოდ ცნობილმა ფირმა „ნაიკმა“ შეუფობა აიღო ნიგერიის ეროვნულ ნაკრებზე და გააფორმა მასთან სპონსორული კონტრაქტი 5 მილიონ დოლარზე.

● არგენტინის „რივერ პლეიტს“ დიდი სურვილი აქვს გადაიბიროს ბრაზილიის „სან-პაულუს“ მწვრთნელი ტელე სანტანა. ეს სურვილი გაჩნდა მას შემდეგ, რაც დანიელ პასარელა არგენტინის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელად გადაიყვანეს და „რივერ პლეიტში“ გამოთავისუფლდა მწვრთნელის ადგილი.

ი. საბო: „უხეში არა ვარ, მაგრამ წესრიგი მიყვარს“...

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაკმაყოფილა ოლეგ ბაზილევიჩის თხოვნა ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდის პოსტიდან გადადგომის თაობაზე. მის ადგილზე მთავარი კანდიდატების — ვლადიმერ მუნტიანისა და ნიკოლაი პავლოვის ნაცვლად დანიშნა იოჟეფ საბო — კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. შეგახსენებთ, რომ მუნტიანი ხელმძღვანელობს ოლიმპიურ ნაკრებს, პავლოვი კი „დნეპრს“. სხვათა შორის, პავლოვმა ამას წინათ ნაკრები წაიყვანა სამხრეთ კორეაში იქ მომუშავე ანატოლი ბიშოვეცის ხელშეწყობით.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ საბომ მოკლე ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს.

● რატომ დაგნიშნეს თქვენ ნაკრების მთავარ მწვრთნელად?

— იმიტომ, რომ კიევის „დინამო“ უკრაინაში ყველაზე ძლიერი გუნდია. ეს გზა, ჩემი აზრით, ყველაზე სწორია. მაგალითისთვის გაიხსენეთ მოსკოვის „სპარტაკი“ და რუსეთის ნაკრები. იქაც ანალოგიური მდგომარეობაა. „სპარტაკს“ დღეს რუსეთში ტოლი არა ჰყავს.

● გამოდის რომ, ნაკრები, ფაქტობრივად, კიევის დინამოელთაგან იქნება დაკომპლექტებული?

— უმთავრესად ასე იქნება. თუმცა ნაკრებში ჩვენ არ მივიწვევთ იმ ფეხბურთელს, რომელიც არ არის ღირსი, მაგრამ „დინამოს“ მაისური აცვია. რა თქმა უნდა, ქვეყნის მთავარ გუნდში სხვა ღირსეულ კანდიდატებსაც შევიყვანთ.

● უცხოეთში მოთამაშე თქვენს ფეხბურთელებს თუ მიიპატიჟებთ?

— შესაძლოა მოვიწვიოთ მიხაილიჩენკო და კუზნეცოვი.

● როგორი პიროვნებაა საბო მუშაობაში?

— უხეში არა ვარ, მაგრამ წესრიგი მიყვარს. სიმკაცრეს ამ საკითხებში უსათუოდ გამოვიჩენ.

● თუ გინახავთ ამ სეზონში თქვენი ერთ-ერთი მეტოქის — „ბაიერნის“ თამაში?

— გერმანელი ფეხბურთელების თამაში წლეულს რამდენჯერმე ვნახე. ბრწყინვალე ბიჭები არიან.

არც ისე დიდი ხნის წინ ოლეგ ბაზილევიჩმა გუნდიდან გააძევა სამი ახალგაზრდა მოთამაშე — ბეჟენარი, სუსლოვი, ტელესენკო. მიზეზი სიმთვრალე იყო. შეკითხვაზე, თუ რას უპირებს ამ ფეხბურთელებს, საბომ თქვა: შევისწავლი სიტუაციას და პასუხს მერე გაგცემთო. მანამდე კი სუსლოვი და ტელესენკო თავიანთ კლუბში — „ჩერნომორეცში“ თამაშობენ.

კარლ ლუისი: „პენსია ჯერ ადრეა!“

რამდენიმე ნაწყვეტი კარლ ლუისის ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუდან

● რამეზე ოცნებობთ?

— განა არის ადამიანი, რამეზე რომ არ ოცნებობდეს? მუდამ ვოცნებობ აღმოჩნდეს ვინმე, რომელიც ერთ სტარტში მილიონ დოლარს მომცემს. თქვენ ხომ არ გეგულებათ სადმე ასეთი ადამიანი?

● თქვენ ის მეფე კარლი აღარა ხართ, რომელიც თავის მეტოქეებს სრულიად იოლად უსწორდებოდა. ბოლოს და ბოლოს, 20 წელსაც კარგა ხანია გადაბიჯეთ და 25 წელსაც. კულუარებში მხოლოდ ერთ რამეზე ლაპარაკობენ — თქვენს პენსიაზე გასვლაზე.

— თქვენ სწორი არა ხართ. მე ისეთივე სიმკვირცხლეს და სიმსუბუქეს ვგრძნობ, როგორც ათი წლის წინ, როცა პირველად გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი. გაიხსენეთ ნებისმიერი სეზონი, რომელიც ჩემთვის წარმატებით დასრულდა, განა მე ყოველთვის ვიმარჯვებდი 100 მეტრზე რბენაში? არა, დამარცხებაც საკმაოდ ვიწვნიე, სხვა საქმეა სიგრძეზე ხტომა. მე აქ დიდხანს უძლეველი ვიყავი და ახლაც პრაქტიკულად თითქმის ასეა, სხვა არგუმენტსაც მოვიყვან. წელს ას მეტრზე ჩემი საუკეთესო შედეგია 10,06. იყო წლები, როცა ამ დისტანციაზე უფრო უარესი შედეგი მქონდა. ისე რომ, მე იგივე ვარ, რაც რამდენიმე წლის წინათ — სწრაფი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და, როცა საჭიროა, უძლეველიც. ერთადერთი, რაც ახლა მიჭირს — ეს გახლავთ სათანადო განწყობა შეჯიბრების წინ.

● თქვენ აპირებთ 1995 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მიღებას. მიგაჩნიათ, რომ ოქროს მედლისთვის იბრძოლებთ?

— მომაჩნია და სავსებით დარწმუნებული ვარ. სხვა საკითხია, რომ ჯერჯერობით ვერ გადამიწყვეტია, რომელ სახეობებში გამოვიდე.

● თქვენ განაცხადეთ, რომ აპირებთ 1996 წლამდე, ატლანტის ოლიმპიადამდე აქტიურ გამოსვლებს. ეს სიმართლეა თუ არა?

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, შესაძლოა, შეჯიბრებებში მონაწილეობა 1997 წლამდე, მეხიკოში მსოფლიო ჩემპიონატამდეც განვაგრძო. რა არის ამაში გასაკვირი? მე არ მინდა რაღაც ჩარჩოებში მოვექცე.

● ადრე თქვენ განაცხადეთ, რომ მსოფლიოში საუკეთესო სპრინტერი ლეროი ბარელია, შემდეგ აზრი შეიცვალეთ და ასეთად დენის მიტჩელი მიიჩნიეთ. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის საუკეთესო?

— საუკეთესო ყოველთვის მე ვარ. მე კი იმ მომენტში უძლიერესზე ვლაპარაკობდი.

● თქვენს მძლეოსნურ კლუბში ჰიუსტონში, რომელსაც „სანტა მონიკა“ ჰქვია, რამდენიმე მეტად ნიჭიერი ჭაბუკი ვარჯიშობს. გახდებიან თუ არა ისინი ნამდვილი ვარსკვლავები?

— ერთი სიგრძეზე 8.10 მეტრს ხტება, მეორე შესანიშნავად დარბის. მათი ასაკი 19 წელს არ აღემატება. ისე რომ, ჩვენ ფანტასტიკური ცვლა გვეზრდება.

● რა გიყვართ ყველაზე მეტად?

— სისწრაფე! გამარჯვება! ყველას გასწრება. გარდა ამისა, მიყვარს მანქანის მართვა. ეტყობა, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი გატაცება.

● ამბობენ, რომ თქვენ ხშირად გაჭარიმებენ მანქანის გადაჭარბებული სისწრაფით ტარების გამო.

— აშშ-ში მაქსიმალურად დაშვებული სისწრაფე 70 მილია (მილი 1609,39 მეტრს უდრის). მე ვნახულობ ხოლმე ტრასას, სადაც პოლიცია არ არის და დავჭრი საათში 170 მილის სიჩქარით. ასეთი სიჩქარე ძალიან მომწონს.

● თქვენი საყვარელი მანქანა?

— „ფერარი“.

● თქვენ ჯერჯერობით არ აპირებთ პენსიაზე გასვლას. ეტყობა, მალე მძლეოსნობის პაპა გახდებით.

— დიახ, ისეთი პაპა, რომელიც შვილიშვილებს უსწრებს.

● ვინ იყო თქვენი კერპი?

— ვაჟებიდან — სტივ უილიამსი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა 70-იან წლებში, ქალებიდან — ეველინ უშფორდი, უფრო ადრე — ვილმა რუდოლფი.

● კარლ, კარგა ხანია ცნობილია, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ოხუნჯობა. გვითხარით, თუ შეიძლება, დღევანდელი საუბრიდან რომელი იყო ხუმრობით ნათქვამი და რომელი — სერიოზულად?

კარლ ლუისი

— დღეს ყველაფერი ხუმრობით ვთქვი.

● თქვენ მეტად ლამაზად, მომხიბლავად ილიმებით. ხომ არ აპირებთ ცოტა ხანში კინოვარსკვლავი გახდეთ?

— სულ ცოტა ხნის შემდეგ ჰოლივუდში ჩასვლას ვაპირებ. შეიძლება მომცენ... სანაპიროს დამგეელის ადგილი.

● იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ, ოღონდ, ამჯერად, თუ შეიძლება, სერიოზულად. განა არაფერზე ოცნებობთ?

— სამ ოლიმპიურ თამაშებში მივიღე მონაწილეობა სიგრძეზე ხტომაში. სამჯერვე გავიმარჯვე. მძლეოსნობის ამ სახეობაში სხვადასხვა შეჯიბრებაში უამრავი მედალი მოვიპოვე, სახლში ბორცვად მაქვს დაგროვილი. თუ დამიჯერებთ, შემიძლია რვა მეტრზე თითქმის ყოველგვარი გარბენის გარეშე გადავხტე. განა ბევრია მსოფლიოში მხტომელი, რომელიც 8 მეტრზე, თუნდაც იდეალურ პირობებში გადახტება? მე მხოლოდ ერთი რამ მაკლია — მსოფლიო რეკორდის დამყარება, სადაც კი გამოვჩნდები ხოლმე, ჩემზე ლაპარაკს იწყებენ: „ეს ის ერთადერთი კაცია, რომელსაც ცხრა თუ რვა ოქროს მედალი აქვს ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატებზე იმდენი, რომ დათვლაც კი ძნელია“. მე მინდა, რომ ჩემზე, უკვე ნათქვამის გარდა, ისიც თქვან: „ეს ის კაცია, რომელიც მსოფლიოში პირველად გადახტა 9 მეტრზე“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას გავაკეთებ კიდეც.

მოამზადა
გივი თოდელმა

იან ფეკეტე

საფეხბურთო დეკამერონი

100-დან 6500 გოლამდე

სტატისტიკოსებმა კარგა ხანია დაინყეს ფეხბურთის სნაიპერთა შედეგების აღნუსხვა და მათგან სიმბოლური „კლუბების“ შედგენა. ასეთი კლუბი საბჭოთა კავშირში დაარსდა ლეგენდარული სნაიპერის გრიგორი ფედოტოვის სახელწოდებით. სწორედ მან გაიტანა პირველად საბჭოთა კავშირში ასი გოლი.

პოლონეთის ფეხბურთის ისტორიაში უპირველეს სნაიპერად ითვლება ერნსტ პოლი, რომელმაც 1954-65 წლებში ეროვნულ ლიგაში 186 ბურთი გაიტანა, ხოლო ნაკრებში — 49. მეორე ადგილზეა ლუციან ბრიხჩი (180), მესამეზე — უერარდ ცეზლიკი.

საფრანგეთში აღრიცხულია 57 სნაიპერი, რომლებმაც 100 და მეტი ბურთი გაიტანეს. აქ გოლეადორების სიას სათავეში უდგას „ნატურალიზებული“ არგენტინელი დელიო ონისი, რომელმაც 1984 წლის ბოლომდე 290 გოლი გაიტანა („მონაკოში“ — 157, „ტროაში“ — 64, დანარჩენები კი — „სტად დე რეიმსსა“ და „ტულონში“). მეორეა ბერნარ ლაკომბი (ბორდოს „უირონდა“) — 231 გოლი, მესამე — ერვე რეგელი, რომელმაც საფრანგეთის პირველი დივიზიონის სხვადასხვა კლუბში 216 გოლი გაიტანა. თუ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებზე ვილაპარაკებთ, მათგან ჟიულეტ ფონტენი 163 გოლით ფრანგ სნაიპერთა სიაში მეთერთმეტეა, იუგოსლავიელი იოსიპ სკობლარი კი, რომელიც კარგა ხანს თამაშობდა საფრანგეთში, 151 ბურთით — მეთოთხმეტე. მიშელ პლატინი 139 გოლით 21-ე ადგილზე გახლავთ. მას, ცხადია, შეეძლო შედეგის გაუმჯობესება, მაგრამ 1982 წლიდან იტალიის ლიგაში გადავიდა.

იუგოსლავიის ლიგის უპირველესი სნაიპერი გახლავთ სლობოდან სანტრაჩი. იგი თამაშობდა ბელგრადის ოფკ-სა და „პარტიზანში“, ზაგრების „გალენიკაში“, სადაც საერთო ჯამში 218 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზეა დუშან ბავიჩი („ველეჟი“ ქ. მოსტარი) — 164, მესამე — ბორა კოსტიჩი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ — 158). თუ იუგოსლავიასა და საფრანგეთში გატანილ გოლებს ერთმანეთს დაეუმატებთ, მაშინ იუგოსლავიელთაგან საუკეთესო შედეგი აქვს იოსიპ სკობლარს — 305.

ჩეხოსლოვაკიელ სნაიპერთა კლუბი 1974 წლის პრაღის უურნალ „გოლის“ რედაქციის ინიციატივით დაარსდა. მასში 30 ფეხბურთელი შევიდა, რომელთაც მხოლოდ ჩემპიონატებში გატანილი გოლები ეთვლებოდათ (ზოგ ქვეყანაში ამას თასზე გატანილ ბურთებსაც უმატებენ). პირველ ადგილზეა იოზეფ ბიკანი 218 ბურთით, შემდეგ არიან მიროსლავ ვიეჩეკი (174), იოზეფ ადამეცი (170), ფრანტიშეკ კლოცი (168), ლადისლავ პავლოვიჩი (164).

ათასიანთა კლუბი ჯერ არ არსებობს, მაგრამ შესაძლოა ისიც დაფუძნდეს აქ, რა თქმა უნდა, მარტო ჩემპიონატებზე კი არა, ყოველგვარ მატჩში გატანილი გოლები ჩაითვლება.

პირველი ფეხბურთელი, რომელმაც 1000 გოლი გაიტანა, ბრაზილიელი არტურო ფრიდენრაიხი (დაიბ. 1892 წ.). ბრაზილიელ სტატისტიკოსებს თუ დავუჯერებთ, იგი სულ 1329 გოლის ავტორი გახდა, რასაც 43 (!) სეზონი მოანდომა.

მეორე ფეხბურთელი, რომელმაც 1000 გოლის ზღვარი გადალახა, ავსტრიელი ფრანც ბინდერი იყო. იგი თამაშობდა ვენის „რაპიდში“ და წარმატებით გამოდიოდა ავსტრიის ეროვნულ ნაკრებში. სულ ბინდერმა 765 მატჩი ითამაშა და 1006 გოლი გაიტანა.

ბრაზილიელმა პელემ თავისი მეათასე გოლი 1979 წელს „მარაკანას“ სტადიონზე გაიტანა „ვასკო და გამასა“ და „სანტოსის“ მატჩში. ამის შემდეგ ეს ისტორიული ბურთი სპორტულ მუზეუმში მოათავსეს, რომელიც იქვე, „მარაკანას“ სტადიონზეა. ამ დაუვიწყარი მატჩის შემდეგ პელემ „სანტოსსა“ და შემდეგ ნიუ-იორკის „კოსმოსში“ კიდევ 300 გოლი გაიტანა, საერთოდ კი 1363 მატჩში — 1281. რაც შეეხება სნაიპერთა „მინიმუმს“, თუ გნებავთ, ლიმიტს — 100 გოლს, ეს ზღვარი პელემ ჯერ კიდევ 19 წლისამ გადალახა. დაახლოებით იგივე გააკეთა მარადონამ, რომელმაც მეასე ბურთი 1980 წელს გაიტანა „არხენტინოს ხუნიორსისა“ და „სან ლორენცოს“ მატჩში.

ათასზე მეტი გოლი გაიტანა, აგრეთვე, ეისებიომ, პორტუგალიაში მოთამაშე მოზამბიკელმა. იგი შვიდჯერ იყო პორტუგალიის ლიგის უპირველესი სნაიპერი.

კიდევ ერთი „ათასიანია“ ნაკლებად ცნობილი ახალზელანდიელი ფეხბურთელი ჯონ უროშოლი. მან 15 წლისამ დაიწყო თამაში და 1971 წელს, როცა უკვე მეოცე სეზონს ატარებდა, მეათასე ბურთი გაიტანა.

იუგოსლავიას თამამად შეიძლება ეწოდოს „სუპერსნაიპერთა ქვეყანა“. იქ ოთხი მოთამაშის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებმაც 1000 და მეტი ბურთი გაიტანეს. აქვე უნდა დავასახელოთ ერთი ფეხბურთელიც, რომელმაც თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე გოლების წარმოუდგენელი რაოდენობა გაიტანა — 6500! მას უიკა მარკოვიჩი ჰქვია.

მარკოვიჩი თავისი საფეხბურთო საქმიანობის დროს მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა. ბავშვობიდანვე ბელგრადის „პარტიზანში“ თამაშობდა, 22 წლისა კლუბს გამოეთხოვა და პროფესიონალი „მოხეტიალე“ ფეხბურთელი გახდა. მისი „ოდისეა“ დიდხანს გრძელდებოდა, სხვადასხვა დროს 119 კლუბში უთამაშია. იუგოსლავიიდან იტალიაში გადავიდა, იტალიიდან საფრანგეთში, შემდეგ ლუქსემბურგში, შვეიცარიაში, პოლანდიაში, ბოლოს კი ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თამაშობდა ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესში, სან-პედროში, ნიუ-იორკსა და ლას-ვეგასში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან დაახლოებით 2500 მატჩში მიიღო მონაწილეობა და როგორც მოგახსენეთ, სულ 6500 გოლი გაიტანა.

იუგოსლავიელებმა სლობოდან სანტრაჩმა და ბორა კოსტიჩმა ჩემპიონატის, სათასო და ამხანაგურ მატჩებში ათასზე მეტი ბურთი გაიტანეს, პირველმა — 1301, მეორემ — 1050, შემდეგ უნდა ვახსენოთ ფრანიო მატროშიჩი — 1021 და ბლაგოიე მარიანოვიჩი — 1058 ბურთი. მარიანოვიჩი პირველი იუგოსლავიელი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ათასი გოლის მიჯნას მიაღწია.

უდავოდ პირველხარისხოვანი სნაიპერი გახლდათ უნგრელი დიერდ შაროში, რომელმაც თავისი ქვეყნის ლიგის 383 მატჩში 349 ბურთი გაიტანა. ინგლისელ რალფ დინს ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი მიღწევა ეკუთვნის ერთ სეზონში გატანილი ბურთების მიხედვით. 1927-1928 წლების სეზონში „ევერტონის“ შემადგენლობაში მან ინგლისის ჩემპიონატის 39 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 60 გოლი გაიტანა, ამავე წელს სხვა, ძირითადად სათასო მატჩებში, კიდევ 22 გატანილი ბურთის ავტორი გახდა. ერთი სიტყვით, ერთ სეზონში 82 ბურთი გაახვია მეტოქეთა კარში. ასეთ მაღალ შედეგს ზოგიერთი ცნობილი ფეხბურთელი მთელი თავისი კარიერის მანძილზე თუ აღწევს, თანაც დღევანდელ მყარად ორგანიზებულ დაცვით ხაზებსა და ჩინებულ მეკარეებს თუ გავითვალისწინებთ, ძნელი საფიქრებელია, რომ ეს რეკორდი საუკუნის ბოლომდე ვინმემ მოხსნას.

რასან ინგლისურ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, ერთი რეკორდიც უნდა ვახსენოთ: ყველაზე მეტი გოლი ინგლისის ლიგაში (434) გაიტანა არტურ როულიმ, რომელიც 1946-1965 წლებში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“, „ფულჰუმში“, „ლესტერ სიტისა“ და „შრევბერიში“ გამოდიოდა. ამ შედეგს მან 619 მატჩში მიაღწია.

ათასიანთა კლუბში, ეტყობა, განთქმული არგენტინელი დიეგო მარადონაც შევა. 1985 წლის თებერვალში „აკ ტორინოსთან“ შეხვედრის შემდეგ მარადონამ განაცხადა, როცა ამ მატჩში თავისი საიუბილეო, მეხუთასე გოლი გაიტანა. მართალია, სტატისტიკოსებმა ფეხბურთელს არ დაუჯერეს, მისი განცხადება სარეკლამო ილეთად ჩათვალეს. მათ აღნიშნეს, რომ „არხენტინოს ხუნიორსში“ 1976-1981 წლებში თამაშის დროს მან გაიტანა 90 ბურთი, „ბარსელონაში“ კი 1982-1984 წლებში კიდევ 22. მარადონას არც არგენტინის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში პქონია მაინცდამაინც მაღალი შედეგიანობა...

რაც შეეხება იტალიის უმაღლეს ლიგას, აქ ყველაზე მეტად საზღვარგარეთელმა ოსტატებმა გამოიჩინეს თავი. შვედმა პუნარ ნორდალმა 291 მატჩში 225 გოლი გაიტანა. ეს გახლავთ საშუალოდ 0,773 ბურთი ერთ მატჩში. მას მოსდევენ ფრანგი პლატინი და დანიელი პანსენი. განთქმულმა იტალიელმა თავდამსხმელმა ჯუზეპე მეაცამ 367 მატჩში 218 ბურთი გაიტანა. არის სხვა ცნობაც მეაცას შედეგების შესახებ: 356 მატჩი და 272 გოლი. მეაცა 53-ჯერ გამოვიდა იტალიის ნაკრებში, ორჯერ კი (1934 და 1938 წლები) მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იგი ამასთან ერთად ორჯერ იყო იტალიის ლიგის უპირველესი სნაიპერი. სხვა განთქმულმა იტალიელმა თავდამსხმელმა სილვიო პიოლამ იტალიის ლიგის 566 მატჩში (1930-1954 წლებში) 290 გოლი გაიტანა.

სლოვაკურიდან თარგმნა
გივი გამრეკელმა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №4, 6, 8, 14.

რა სდგება ქვეყანაზე

● **ბარსელონის** ოლიმპიური თამაშების შემდეგ სპორტული სარბიელი დატოვეს ტანვარჯიშის ცნობილმა სპეციალისტმა, მრავალი ჩემპიონის აღმზრდელმა ბელა კაროლიმ (აშშ) და თანამედროვეობის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა მრავალჭიდელმა ჭალმა კიმ ზმესკალმა, რომელიც სხვადასხვა დროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც იყო და მსოფლიოსიც. გავიდა ორი წელი და ხმა დაირხა, რომ მწვრთნელიცა და ტანმოვარჯიშეც ბრუნდებიან სპორტში. ყოველ შემთხვევაში, დადასტურებული ფაქტია, რომ კაროლი ატლანტის ოლიმპიადისთვის გუნდის დაკომპლექტებას შეუდგა და ზმესკალმაც ვარჯიში განაახლა.

● **ჭოკეის** სტატისტიკოსები ბომბარდირების პარალელურად საგოლე პასების მიმწოდებელთა ოსტატობასაც აღრიცხავენ (გოლი პლიუს პასი). ანალოგიური სტატისტიკა აწარმოეს აშშ-შიც, ფეხბურთელთა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე. ორ-ორი ასეთი გადაცემა აღმოაჩნდათ: ემილ კოსტადინოვს (ბულგარეთი), ჭოსე კამინეროს (ესპანეთი), დემეტრიო ალბერტინის (იტალია), გეორგე
 ბაჭის (რუმინეთი) და კენტ ანდერსონს (შვეცია). თითო პასი გააკეთა 38-მა ფეხბურთელმა.

● **თანამედროვე** ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა კლაუს შორმანმა ნელი მოაწერა კონტრაქტს „ევროსპორტის“ სატელევიზიო არხთან. ამ კონტრაქტის თანახმად უახლოესი სამი წლის მანძილზე ცისფერ ეკრანებზე გადაიცემა განსაკუთრებით საინტერესო მომენტები მსოფლიოს ჩემპიონატებიდან, ოლიმპიური თამაშებიდან, მსოფლიოს თასების გათამაშებიდან და ზოგიერთი სხვა დიდი შეჯიბრებიდან.

● **„ფინიქს სანზისა“** და პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავმა ჩარლზ ბარკლიმ, რომელსაც მთელი გასული სეზონის მანძილზე აწუხებდა ყრუტკივილი წელის არეში, ბოლოს და ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება სპორტიდან წასვლის შესახებ, რასაც ნბა-ში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მაგრამ აქტიური მკურნალობის შემდეგ კრიზისმა გაიარა და ბარკლი კვლავ ჩვეულ ფორმაში შევიდა. ამას წინათ კალათბურთელმა განაცხადა, რომ მის გუნდს სრული ბედნიერებისთვის კიდევ ერთი უმაღლესი კლასის მოთამაშე სჭირდება.

კრიმინალური ქრონიკა

„სიმპსონის საქმე“ შეიძლება გინესის კრებულში მოხვდეს

„სიმპსონის საქმე“ თანამედროვე ამერიკის ყველაზე სკანდალური კრიმინალური ისტორიაა, რომელიც აგერ უკვე ოთხი თვეა არ მოსცილებია პრესის ფურცლებსა და ცისფერ ეკრანებს. ამა წლის 12 ივნისს ამერიკული ფეხბურთის შავკანიანმა ვარსკვლავმა ო.ჯ. სიმპსონმა დანით რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა თავის 35 წლის მეუღლეს, ცნობილ ლამაზმან ნიკოლ ბრაუნ სიმპსონს და მის 25 წლის მეგობარს რონალდ ლილ გოლდმანს. ორივე დაზარალებული გარდაიცვალა. ასეთი გახლავთ ოფიციალური ვერსია, რომელსაც თავად სიმპსონი ხელაღებით უარყოფს.

ლოს-ანჯელესის სასამართლოში დაიწყო ნაფიც მსაჯულთა შერჩევის შრომატევადი და ერთობ მტკივნეული პროცესი. სასამართლოს თავმჯდომარის ლ.იტოს განკარგულებაშია ათასი კანდიტატი, რომლებსაც სიმპსონის მხარე ერთი-მეორეზე იწუნებს. ჟურნალისტთა განცხადებით ათასი კანდიდატი თორმეტი ნაფიცი მსაჯულის ვაკანტურ ადგილზე რეკორდია, რომელიც შეიძლება მოხვდეს გინესის პოპულარულ კრებულში.

● **ჩოგბურთელთა** საერთაშორისო ტურნირი — „კრემლის თასი“ დააარსა შვეიცარიელმა ბიზნესმენმა სასონ კაკშურამ. შეჯიბრების დირექტორია ამერიკელი იუჯინ სკოტი, რომელიც წლევანდლამდე, ფაქტობრივად, თვითონ აფინანსებდა ტურნირს (90 პროცენტს). ახლა ამ დუეტს დაემატა აღმასრულებელი დირექტორი რუსეთიდან ალექსანდრე ვაინშტეინი, რომელმაც ხარჯების 50 პროცენტი თვითონ იკისრა. სწორედ ამიტომ, შეჯიბრების საპრიზო ფონდი 348 ათასიდან 1 მილიონ 125 ათას დოლარამდე გაიზარდა (გამარჯვებული მიიღებს 156 ათას დოლარს, ფინალისტი — 93 ათასს). ახლა „კრემლის თასი“ ყველაზე მდიდარ ტურნირთა ათეულში შედის.

საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემია აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დასწრებულ (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე

მიღება წარმოებს სპეციალობით — ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნის და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა (სპორტის სახეობების მიხედვით). ასპირანტურაში გამოყოფილია 5 (ხუთი) ადგილი, აქედან მიზნობრივ ასპირანტურაში ქ.ქუთაისის უნივერსიტეტისათვის.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;
2. დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან;
3. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
4. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
5. 6 ფოტოსურათი (უქუდოდ ზომით 3X4);
6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
7. ავტობიოგრაფია;
8. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობის მიხედვით);
9. ამონაწერი აკადემიის საბჭოს სხდომის ოქმიდან.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

ახალკურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციბ.

მიზნობრივ ასპირანტურაში გამოგზავნილი პირები წარმოადგენენ ორგანიზაციის ხელმძღვანელის დამოწმებულ მომართვას აკადემიის რექტორის სახელზე.

მიზნობრივ ასპირანტურაში გამოგზავნილთა მომართვაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ ჩარიცხვის შემთხვევაში ორგანიზაცია უზრუნველყოფს სტიპენდიით.

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო მისაღებ გამოცდებს სპეციალობაში და უცხო ენაში (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული).

საბუთები მიიღება 1994 წლის 15-დან 30 ოქტომბრის ჩათვლით.

გამოცდები დაიწყება 22 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობები — აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: 380062. თბილისი. ჭავჭავაძის პრ. 49

ტელ. 29-37-94.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ერთეული ინფორმაციები

რა სდგება ქვეყანაზე

● **რეიტერის** სააგენტოს კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა არიგო საკიმ სინანულით განაცხადა, რომ გუნდიდან წავიდა 34 წლის ვეტერანი ფრანკო ბარეზი. გადაწყვეტილება მან მიიღო ერთპიროვნულად. ბარეზიმ ნაკრებში 81 მატჩი ჩაატარა. საკიმ არაფერი თქვა იმის შესახებ, აპირებს თუ არა ფეხბურთელი თავის კლუბში თამაშს.

● **გერმანიის** ქალაქ ჰოჰაუზენში მოეწყო ახალი თამაშის — გოლფბოლის პრეზენტაცია, რომელზეც ექსპერტის სახით მიწვეული იყო გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი ანდრეას ბრემე. გოლფბოლი, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, გოლფისა და ფეხბურთის ორიგინალურ შერწყმას წარმოადგენს. მოთამაშემ ფეხბურთის ჩვეულებრივი ბურთი ფეხით წინასწარ ამოთხრილ ორმოებში უნდა ჩაგდოს. ბრემეს აზრით, ბევრ ტექნიკურ ფეხბურთელს, რომელსაც არ ყოფნის ფიზიკური ძალა და ამიტომ ჩამოსცილდა სპორტს, განსაკუთრებით მოეწონება ეს თამაში.

● **თავისი** ლეგიონერები ჰყავს ესტონეთის ფეხბურთსაც. როგორც ინგლისური „უორლდ სოკერი“ იუწყება, ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „პორტსმუტში“ მიიწვიეს ესტონეთის ეროვნული ნაკრების მეკარე მარტინ ჰოომი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და უურადღება მიიქცია მსოფლიოს 1994 წლის შესარჩევი ტურნირის მატჩებში. კონტრაქტის ღირებულებაა 200 ათასი გირვანქა სტერლინგი.

● **ოქტომბრის** მიწურულს მოსკოვს ეწვევა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი. იგი გამართავს პრესკონფერენციას, რომელიც მიეძღვნება მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადის გადმოტანას საბერძნეთიდან (სალონიკი) რუსეთში (მოსკოვი). აქვე ოფიციალურად შერიგდებიან აქამდე დაუძინებელი მტრები — მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი და ფიდეს პრეზიდენტი კამპომანესი.

კომპიუტერული ათეულები

გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგული მონაცემები.

ვაჟები. 1. პიტ სამპრასი (აშშ) — 4884 ქულა, 2. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 3170, 3. მიჰაელ შტიხი (გერმანია) — 3029, 4. სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — 2727, 5. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 2642, 6. ტოდ მარტინი (აშშ) — 2492, 7. ბორის ბეკერი (გერმანია) — 2374, 8. ალბერტო ბერასატეგუი (ესპანეთი) — 2310, 9. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 2277, 10. ანდრე აგასი (აშშ) — 2132.

ქალები. 1. შტეფი გრაფი (გერმანია) — 355,50, 2. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 302,60, 3. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 217,68, 4. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 155,88, 5. მარი პერესი (საფრანგეთი) — 145,26, 6. იანა ნოვოტნა (ჩეხია) — 144,75, 7. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 122,70, 8. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 120,21, 9. ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — 115,80, 10. კომიკო დატე (იაპონია) — 114,77.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამყიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. ჯიღაური.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფრენბურთელი, სპორტის ოსტატი, ფედერაციის წევრი

ეთერ ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“